## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი

**ბრძანება 2/436**

9 დეკემბერი 2016 წ. **ქ. თბილისი**

### კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.

2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტის მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4)

**გენერალური დირექტორი** **ნიკოლოზ ანთიძე**

ბრძანება N 2/436 09.12.16

დანართი *N1*

| № | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 |  | პეროქსიდული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა „პეროფი“ | ქ. ჭიათურა, 26 მაისის ქ. (38.10.31.123 საკადასტრო ერთეულში არსებული N01 და N02 შენობა) | არქიტექტურის/ მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი | 1939-1940 წლები |
| 2 |  | ხოვლეგორა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლე ამ ბრძანების დანართ №2-ში მითითებულ საზღვრებში | არქეოლოგიური | ძვ.წ. XV - ახ.წ. IV სს. |
| |  | მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭელიაღელე | არქიტექტურის | 1905-1908 წწ |
| |  | საცხოვრებელი სახლი | ქ. ბოლნისი, შ. რუსთაველის ქ. N1 | არქიტექტურის | XIXს-ის II ნახევარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| |  | საცხოვრებელი სახლი | ქ. ბოლნისი, შ. რუსთაველის ქ. N3 | არქიტექტურის | XIXს-ის II ნახევარი | |

*დანართი N2*

**ხოვლეგორა - ძეგლის საზღვარი**

**GPS კოორდინატები: N 4640545, E 437576; N 4640321, E 438018; N 4640123, E 437335, N 4639978, E 437596.**

